



2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში

1-ლი ივლისი - 26 აგვისტო

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში

1-ლი ივლისი - 26 აგვისტო

თბილისი

2024

ანგარიში მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, დიდი ბრიტანეთის საელჩოსა და „ახალი დემოკრატიის ფონდის“ მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და მისი შინაარსი, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციების შეხედულებებს.

ანგარიშის ხელმძღვანელები: ნონა ქურდოვანიძე
ნანუკა ყრუაშვილი

ანგარიშის ავტორები: ნიკოლოზ ოდიკაძე
გიორგი ალავერდაშვილი
მათე ბუბაშვილი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ყდის დიზაინი: თეონა კერესელიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2024, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შესავალი 4

1. პოლიტიკური კონტექსტი 5

1.1. მმართველი პარტია - „ქართული ოცნება” 6

1.2. პარტიების აკრძალვის ინიციატივა 7

1.3. ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი 9

1.4. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის” შესახებ რუსული სტილის კანონი 10

2. წილისყრის პროცედურის წესის ცვლილება 12

3. პოლიტიკური პარტიების რეგისტრაცია ცესკოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის 14

4. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობრივი ქმედებები და აგიტაციაში ხელშეშლა 16

4.1. თავდასხმა პარტია „ახლის” თანათავმჯდომარე ნიკა მელიაზე 16

4.2. პარტია „საქართველოსთვის” კამპანიის წარმოებისთვის ხელის შეშლა 16

5. სამსახურიდან სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება 18

5.1. კლეოპატრა ქარუმაშვილის საქმე 18

6. სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფა 19

6.1. ადმინისტრაციული რესურსის მობილიზება „ქართული ოცნების“ საარჩევნო შეხვედრაზე 19

6.2. საბიუჯეტო ორგანიზაციის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სააგიტაციო მასალის გავრცელება 19

6.3. ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები 21

6.5. ამნისტიის კანონპროექტი 25

7. პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევა ან/და ამომრჩევლის შესაძლო დაშინება 26

8. მონიტორინგის პროცესში საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა 28

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) გრძელვადიანმა სადამ-კვირვებლო მისიამ (LTO) ფუნქციონირება 2024 წლის აპრილიდან დაიწყო. გრძელვადიანი დაკვირვების ძირითადი მიზანი არჩევნების თავისუფალ, თანასწორ და კონკურენტულ გარემოში წარმართვის ხელშეწყობაა. ამ მიზნის მისაღწევად საიას ამოცანაა საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობის გაზრდა, საკანონმდებლო მექანიზმების ეფექტიანობის ხელშეწყობა საარჩევნო დავების წარმოების/მონიტორინგის გზით და საზოგადოებისთვის სანდო, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანი ტენდენციების შესახებ. საია დაფუძნებიდანვე აქტიურად არის ჩართული არჩევნების მონიტორინგის პროცესში. მუდმივად და მკაცრად იცავს ნეიტრალურ პოზიციას და საქმიანობისას კანონის უზენაესობის, ობიექტურობის, პროფესიონალიზმის, გამჭვირ-ვალობის პრინციპებით მოქმედებს. გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში, ორგანიზაცია წინასაარჩევნო გარემოს 9 რეგიონული ოფისის მეშვეობით თბილისში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთში, შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში აკვირდება. წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2024 წლის 1-ლი ივლისიდან 26 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში გამოვლენილ დარღვევებს ან ისეთ ქმედებებს, რომლებიც, თავისთავად, კანონდარღვევა არ არის, თუმცა ცუდი პრაქტიკაა და ზიანს აყენებს ჯანსაღი წინასაარჩევნო გარემოს შექმნას. ანგარიშში ასევე ასახულია ისეთ პროცესები, რომლებიც შეიძლება სცდებოდეს საანგარიშო პერიოდს, თუმცა, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, არსებით გავლენას ახდენს საარჩევნო საკანონმდებლო ბაზისა თუ არჩევნებისწინა პოლიტიკური კონტექსტის ფორმირებაზე.

1. პოლიტიკური კონტექსტი

საანგარიშო პერიოდში არაერთი წინასაარჩევნო გაერთიანება ჩამოყალიბდა, უკვე არსებული კი გამსხვილდა. ოპოზიციური პოლიტიკური ცენტრების გამსხვილების პროცესზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სამართლებრივმა მოცემულობამ, რომლის მიხედვითაც, 2024 წელს საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით, 5%-იანი საარჩევნო ბარიერის[1] პირობებში ჩატარდება და მასში მონაწილეობას საარჩევნო ბლოკი[2] ვერ მიიღებს.[3] კანონმდებლობით, საპარლამენტო არჩევნებში მხოლოდ პოლიტიკური პარტიების მონაწილეობაა დადგენილი.[4] პოლიტიკური ჯგუფების გამსხვილების სამართლებრივი გზა, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, კანდიდატების მიერ თავიანთი პარტიის დატოვება და სხვა პოლიტიკური პარტიის (კოალიციურ) სიაში გადანაცვლებაა.[5]

საანგარიშო პერიოდში გააქტიურდა პარტიების არაოფიციალური წინასაარჩევნო კამპანიები, რა დროსაც კვლავ ნაკლები აქცენტი კეთდებოდა კონკრეტული პოლიტიკური პარტიების პროგრამებსა და შესაბამის კონკურენციაზე. როგორც „ქართული ოცნება", ისე ოპოზიციური პარტიები მომავალ არჩევნებს რეფერენდუმად განიხილავდნენ. მძაფრი პოლარიზაციის ფონზე, პოლიტიკური დისკურსი და საინფორმაციო სივრცე მოცული იყო მკვეთრი ურთიერთბრალდებებით. მმართველი პარტიის წარმომადგენლები საჯარო გამოსვლებსა და განცხადებებში პოლიტიკური ოპონენტების დემონიზებას ცდილობდნენ და მათ მოღალატეობრივ ქმედებებში ადანაშაულებდნენ.[6] ოპოზიციის უდიდეს ნაწილს ისინი „გარედან მართულ [აგენტებად]" და „ბოროტ ძალად" მოიხსენიებდნენ.[7] „ქართული ოცნების" მხრიდან კვლავ აქტუალური იყო ანტიდასავლური რიტორიკა, ომისა და მშვიდობის საკითხები, ანტი-ლგბტქ გზავნილები,[8] წინა ხელისუფლების დასჯის

---

[1] პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად, პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება 150-ზე და იყოფა ყველა იმ პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5% მაინც მიიღეს. თუ პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 150-ზე ნაკლები იქნება, გაუნაწილებელ მანდატებს თანამიმდევრობით მიიღებენ უკეთესი შედეგის მქონე პოლიტიკური პარტიები.

[2] საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული ორი ან მეტი პარტიის გაერთიანება, რომელიც უფლებამოსილია, წარადგინოს ერთიანი სია.

[3] „ცესკოს პრესსპიკერი - 26 ოქტომბრის არჩევნებში ვერც კოალიცია და ვერც ბლოკი მონაწილეობას ვერ მიიღებს, შესაბამისად, თუ ვინმეს სურს, სხვა პოლიტიკური პარტიის სიაში იყოს, თავისი პარტია უნდა დატოვოს", საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 17 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/cesko-s-presspikeri-26-oqtombris-archevnebshi-verc-koalicia-da-verc-bloki-monawileobas-ver-miighebs-shesabamisad-tu-vinmes-surs-skhva-politikuri-partiis-siashi-iyos-tavisi-partia-unda-datovos/, განახლებულია: 07.09.2024.

[4] იქვე.

[5] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 16 აგვისტოს №34/2024 დადგენილება კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესის განსაზღვრის შესახებ, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6247504?publication=0, განახლებულია: 12.09.2024.

[6] „კახა კალაძე - პოლიტიკურ პარტიას, რომელიც მოღალატეობრივი ქმედებებით აზიანებდა და დღესაც აზიანებს ქვეყანას, აქვს არსებობის უფლება? თავიანთ ქმედებებზე პასუხი უნდა აგონ", საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 26 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/kakha-kaladze-politikur-partias-romelic-moghalateobrivi-qmedebebit-azianebda-da-dghesac-azianebs-qveyanas-aqvs-arsebobis-ufleba-taviant-qmedebebze-pasukhi-unda-agon/, განახლებულია: 07.09.2024.

[7] „კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა" არის გარედან მართული ძალა, რომელიც მზადაა, ქვეყანა ჩართოს ომში და მე ამას შემთხვევით არ ვამბობ - კახა კალაძე", ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის" ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://rustavi2.ge/ka/news/289792, განახლებულია: 07.09.2024.

[8] 27 ივნისს პარლამენტმა, 78 ხმით არცერთის წინააღმდეგ, „ქართული ოცნების" მიერ ინიციირებული „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ" საკანონმდებლო პაკეტი პირველი მოსმენით მიიღო.

რიტორიკა.[9] გარდა ამისა, გრძელდებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაციისა და სტიგმატიზაციის მიზნით წარმოებული კამპანია.[10]

ოპოზიციური პარტიების უმეტესობისთვის უმთავრესი არგუმენტი იყო მმართველი პარტიის ანტიევროპული ქმედებები და რიტორიკა. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდს კვლავ თან სდევდა დაპირისპირება მმართველ პარტიასა საქართველოს პრეზიდენტს შორის.[11]

1.1. მმართველი პარტია - „ქართული ოცნება"

მმართველი პარტია საარჩევნო კამპანიის ფარგლებში აქტიურად ატარებდა გასვლით შეხვედრებს რეგიონებში.[12] 16 ივლისს „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო კამპანიის გახსნის ღონისძიებაზე პარტიის საპატიო თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების იმედი გამოთქვა.[13] მან ასევე კვლავ საჯაროდ ისაუბრა კონსპირაციულ თეორიებზე „გლობალური ომის პარტიის", „აგენტურისა" და „ლიბერალური ფაშიზმის" შესახებ.[14] ივანიშვილმა ცერემონიის დროს განაცხადა, რომ „ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბს პარტიის თავმჯდომარე და ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე უხელმძღვანელებს.[15] ამასთანავე, მმართველი პარტიისგან ფორმალურად გამოყოფილი

---

[9] „ირაკლი კობახიძე - 2008 წელს ჩადენილი დანაშაულის გამო „ნაციონალური მოძრაობის" დასჯა მნიშვნელოვანია პრევენციისთვის, რათა მსგავსი დანაშაული არათუ აღარ ჩაიდინონ, ამისი რესურსიც არ ექნებათ", საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/irakli-kobakhidze-2008-wels-chadenili-danashaulis-gamo-nacionaluri-modzraobis-dasja-gansakutrebit-mnishvnelovania-prevenciistvis-rata-msgavsi-danashauli-aratu-aghar-chaidinon-ami/, განახლებულია: 07.09.2024.

[10] „ბიძინა ივანიშვილი - აუცილებელია, საბოლოოდ დავამშვიდოთ ჩვენი ქვეყანა, დავასრულოთ აგენტურა, რადიკალიზმი, პოლარიზაცია, რის შემდეგაც სწრაფი ტემპით განვაგრძობთ წინსვლას", საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 16 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/bidzina-ivanishvili-aucilebelia-sabolood-davamshvidot-chveni-qveyana-davasrulot-agentura-radikalizmi-polarizacia-ris-shemdegac-swrafi-tempit-ganvagrdzobt-winsvlas/, განახლებულია: 12.09.2021.

[11] „გია ვოლსკი - სალომე ზურაბიშვილი არის კოლექტიური „ნაცმოძრაობის" ბელადი - შემოიჭრა სიხარულის ველზე და ცდილობს, დაძაბულობა და დაპირისპირება განავითაროს, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი", 2024 წლის 15 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/809186-gia-volski-salome-zurabishvili-aris-kolektiuri-nacmozraobis-beladi-shemoichra-sixarulis-velze-da-cdilobs-dazabuloba-da-dapirispireba-ganavitaros/, განახლებულია: 07.09.2024; „პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა მედიასთან „ქართული ქარტიის", არჩევნების, „ქართული ოცნების", აშშ-ის დახმარების შეჩერებისა და ივანიშვილის შესახებ ისაუბრა", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2024 წლის 6 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/619173, განახლებულია: 09.09.2024.

[12] „ქართულმა ოცნებამ" რეგიონებში წინასაარჩევნო შეხვედრები დაიწყო", ტელეკომპანია „ევრონიუსის" ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 22 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://euronewsgeorgia.com/2024/08/22/kartulma-otsnebam-regionebshi-tsinasaarchevno-shexvedrebi-daitsko/, განახლებულია: 12.09.2024.

[13] „ქართული ოცნების" საარჩევნო კამპანია - პოლიტიკური გზავნილები", საინფორმაციო პორტალი „1tv.ge", 2024 წლის 17 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/video/qartuli-ocnebis-saarchevno-kampania-politikuri-gzavnilebi/, განახლებულია: 07.09.2024.

[14] „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო კამპანია ბიძინა ივანიშვილმა „გლობალური ომის პარტიის" კონსპირაციაზე საუბრით გახსნა", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2024 წლის 17 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/616554, განახლებულია: 07.09.2024.

[15] „ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბს ირაკლი კობახიძე უხელმძღვანელებს", საინფორმაციო პორტალი „publika.ge", ხელმისაწვდომია: https://publika.ge/qartuli-ocnebis-saarchevno-shtabs-irakli-kobakhidze-ukhelmdzghvanelebs/, განახლებულია: 07.09.2024.

პარტია „ხალხის ძალა” 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის „ქართული ოცნების” სიაში იქნება.[16]

ირაკლი კობახიძემ 15 და 23 აგვისტოს „ქართული ოცნების“ დელეგატობის კანდიდატები[17] წარადგინა.[18] თბილისსა და რეგიონებში დასახელებულ კანდიდატებს შორის არცერთი არ არის ქალი.[19] ნიშანდობლივია, რომ დელეგატობის კანდიდატების წარდგენამდე რამდენიმე თვით ადრე, პოლიტიკური პარტია „გირჩის” ინიციატივითა და მმართველი პარტიის მხარდაჭერით, პარლამენტსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალთა სავალდებულო გენდერული კვოტა[20] გაუქმდა.[21]

1.2. პარტიების აკრძალვის ინიციატივა

მმართველი პარტიის საპატიო თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა „ქართული ოცნების” საარჩევნო კამპანიის რეგიონულ ღონისძიებაზე მცხეთაში სიტყვით გამოსვლისას „კრებსითი ნაციონალური მოძრაობა” და ოპოზიციური სპექტრის მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყანაში არეულობის დათესვისა და ომის გაჩაღების სურვილში დაადანაშაულა.[22] ივანიშვილი, საკონსტიტუციო უმრავლესობის[23] მოპოვების შემთხვევაში, ოპოზიციურ პარტიებს გასამართლებით (აკრძალვით) დაემუქრა, ხოლო 26 ოქტომბრის არჩევნები ნიურნბერგის პროცესს შეადარა, „სადაც ქართველი ხალხის საკონსტიტუციო უმრავლესობა ანტისახელმწიფოებრივ დავალებაზე ხელის მომწერ უცხოურ აგენტურას სათანადო განაჩენს გამოუტანს”.[24]

ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბრისას განმარტა, ვინ იგულისხ-მებოდნენ „კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობაში”. მისი თქმით, ამაში მოიაზრებოდა

[16] „საპარლამენტო არჩევნებზე „ხალხის ძალა” „ქართული ოცნების” სიაში იქნება”, 2024 წლის 30 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33038882.html, განახლებულია: 07.09.2024.

[17] 2024 წლის მაისში საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, პარტიებს უფლება მიეცათ, პარტიული სიის შედგენისას, მასში შეყვანილი საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი განსაზღვრონ ამავე კანონის დანართით გათვალისწინებული 30 ოლქიდან რომელიმე ოლქის დელეგატობის კანდიდატად.

[18] „ოცნების” 22 დელეგატი - რა ვიცით მათზე”, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება”, 2024 წლის 21 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/y4k7bfe4, განახლებულია: 07.09.2024; „ქართულმა ოცნებამ” თბილისის ოლქებში დელეგატები წარადგინა”, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება”, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33089621.html, განახლებულია: 07.09.2024.

[19] იქვე.

[20] საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის პარტიული სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც ქალი უნდა ყოფილიყო. ხოლო თუ პარტია ცესკოში წარადგენდა საარჩევნო სიას რომლის ყოველ სამეულში ერთი ქალი მაინც იქნებოდა, საარჩევნო სუბიექტი კანონით გათვალისწინებულ დამატებით დაფინანსებას მიიღებდა.

[21] „პარლამენტმა გენდერული კვოტების გაუქმებაზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია”, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2024 წლის 15 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/607551, განახლებულია: 07.09.2024.

[22] „მოსახლეობის დაკვეთა და „ქართული ოცნების” საარჩევნო დაპირებები - რას აჩვენებს კვლევები”, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება”, 2024 წლის 29 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/3ee82e6z, განახლებულია: 07.09.2024.

[23] მინიმუმ 113 მანდატი.

[24] „მოსახლეობის დაკვეთა და „ქართული ოცნების” საარჩევნო დაპირებები - რას აჩვენებს კვლევები”, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება”, 2024 წლის 29 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/3ee82e6z, განახლებულია: 07.09.2024.

ფაქტობრივად ყველა მსხვილი ოპოზიციური პარტია თუ გაერთიანება[25] და არა მხოლოდ კოალიცია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ შემავალი პარტიები.[26]

დემოკრატიის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია პოლიტიკური პლურალიზმი და ოპოზიციური პარტიების თავისუფალი მოქმედების უფლება. მათი აკრძალვის მუქარა კი პირდაპირ ეწინააღმდეგება ამ პრინციპს და საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ სისტემას.

საქართველოს უზენაესი კანონი დემოკრატიულ პროცესში პარტიების განსაკუთრებულ როლზე მიუთითებს და განმარტავს, რომ ისინი „მონაწილეობენ ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში”.[27] გარდა ამისა, დადგენილია როგორც მათი დაცვის გარანტიები, ისე აკრძალვის საფუძვლები.[28] კონსტიტუციის მიხედვით, პარტიის აკრძალვა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივაა.[29]

პოლიტიკური პარტიის შექმნის, საქმიანობის და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის კონსტიტუციურობის შესახებ სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანის უფლება საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს (30 დეპუტატი) ან საქართველოს მთავრობას აქვს.[30] ამდენად, „ქართული ოცნების“ მიერ კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვებაზე აქცენტირება შეიძლება ანტიდემოკრატიული კონსტიტუციური ცვლილებების დაანონსებაზე მიანიშნებდეს. სხვა შემთხვევაში, ეს პროცესი მოკლებულია სამართლებრივ ლოგიკას, რადგან „ქართული ოცნება” მანდატების უმრავლესობას აკონტროლებს მეათე მოწვევის პარლამენტში, მისი დაკომპლექტებულია მთავრობაც და, შესაბამისად, დღევანდელი მოცემულობით, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის საშუალებაც აქვს.

საპარლამენტო არჩევნებამდე ორი თვით ადრე ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირებისგან საჯაროდ ამ ტიპის გზავნილების გავრცელება შემაშფოთებელია. მსგავსი რიტორიკა პრობლემურია, რადგან ის მიზნად ისახავს ოპონენტების სტიგმატიზაციას და ოპოზიციურად განწყობილ ამომრჩეველში ნიჰილიზმის გაღვივებას. სამართლიანი და თავისუფალი წინასაარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს საკუთარი ხმის მნიშვნელობის შეგრძნება და არა იმის განცდა, რომ არჩევნებში მისი მონაწილეობა ფუჭია, რადგან მის მიერ მხარდაჭერილმა პარტიამ, შესაძლოა, არსებობა შეწყვიტოს.

---

[25] „ნაციონალური მოძრაობა”, „სტრატეგია აღმაშენებელი”, „ახალი”, „დროა”, „გირჩი - მეტი თავისუფლება”, „ლელო”, „გახარია - საქართველოსთვის”.

[26] „ოცნება” „კოლექტიური ნაცმოძრაობის” ასაკრძალად კონსტიტუციურ უმრავლესობას ითხოვს. რას ამბობს კანონი?”, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება”, 2024 წლის 26 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/5n6vm5dt, განახლებულია: 07.09.2024.

[27] საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი.

[28] კონსტიტუციის მიხედვით, „დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან, რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. დაუშვებელია პოლიტიკური პარტიის შექმნა ტერიტორიული ნიშნით.

[29] საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

[30] საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს კანონის 35-ე მუხლი.

1.3. ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი

საანგარიშო პერიოდში კვლავ აქტიურად მიმდინარეობდა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების გადაჯგუფების, გამსხვილების პროცესი.

პარტიები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და „სტრატეგია აღმაშენებელი" 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის გაერთიანდნენ და პლატფორმას „ერთიანობა - საქართველოს გადარჩენისთვის" უწოდეს.[31] პლატფორმაში ასევე გაერთიანდნენ დამოუკიდებელი დეპუტატები თამარ კორძაია და არმაზ ახვლედიანი, პოლიტოლოგი გია ჯაფარიძე, მიხეილ სააკაშვილის პირადი წარმომადგენელი სოფო ჯაფარიძე და ისტორიკოსი ლაშა ბაქრაძე.[32] 17 აგვისტოს ცნობილი გახდა, რომ „ერთიანობას" შეუერთდა „ევროპული საქართველო", რომელიც 2017 წელს სწორედ „ნაციონალურ მოძრაობას" გამოეყო.[33] „ნაციონალურ მოძრაობასთან" კოალიციურ პარტნიორობაში შესვლამდე ცოტა ხნით ადრე „ევროპული საქართველო" გიგა ბოკერიამ, თამარ ჩერგოლეიშვილმა და მათმა თანამოაზრეებმა დატოვეს.[34] მათ ახალი პარტია „ფედერალისტები" წარადგინეს.[35]

26 ოქტომბრის არჩევნებისთვის გაერთიანდნენ პოლიტიკური პარტიები „ახალი", „გირჩი - მეტი თავისუფლება" და „დროა".[36] ამის შესახებ პარტიის ლიდერებმა 9 ივლისს განაცხადეს.[37] ნიკა გვარამიას განმარტებით, გაერთიანების მთავარი მიზანი „ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების სახლში გაშვება და საქართველოს ევროკავშირში გაერთიანებაა".[38] ისინი ერთგულებას უცხადებენ პრეზიდენტის „ქართულ ქარტიას" და არ ითანამშრომლებენ მმართველ პარტიასთან.[39]

18 აგვისტოს „ახლის", „გირჩი - მეტი თავისუფლების" და „დროას" ერთობას შეუერთდა „რესპუბლიკური პარტია", რომლის თავმჯდომარეც ხათუნა სამნიძეა.[40]

17 ივლისს გაერთიანდნენ პოლიტიკური პარტიები „ლელო" და „ხალხისთვის".[41] მათ შეუერთდა პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების მოედანიც",[42] 12 აგვისტოს კი, ასევე -

---

[31] „ერთიანობა საქართველოს გადარჩენისთვის" - ვინ არიან ახალი პოლიტიკური პლატფორმის წევრები", საინფორმაციო პორტალი „ფორმულანიუსი", 2024 წლის 8 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/114013, განახლებულია: 07.09.2024.

[32] იქვე.

[33] „არჩევნები 2024: ასეთია პარტიების ბოლო კონფიგურაცია", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2024 წლის 19 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/hdz6fk4c, განახლებულია: 07.09.2024.

[34] „ვინ წავიდა ევროპული საქართველოდან და ვინ დარჩა პარტიაში", საინფორმაციო პორტალი „Tabula", 2024 წლის 8 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/721394-vin-cavida-evropuli-sakartvelodan-vin-darcha, განახლებულია: 12.09.2024.

[35] იქვე.

[36] „ახალი", „დროა" და „გირჩი - მეტი თავისუფლებისთვის" გაერთიანდნენ", საინფორმაციო პორტალი „1tv.ge", 2024 წლის 9 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/akhali-droa-da-girchi-meti-tavisuflebistvis-gaertiandnen/, განახლებულია: 07.09.2024.

[37] იქვე.

[38] იქვე.

[39] იქვე.

[40] „არჩევნები 2024: ასეთია პარტიების ბოლო კონფიგურაცია", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2024 წლის 19 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/hdz6fk4c, განახლებულია: 07.09.2024.

[41] „არჩევნების წინ კიდევ სამი ოპოზიციური ძალა ერთიანდება", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2024 წლის 17 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/616665, განახლებულია: 07.09.2024.

[42] იქვე.

ალეკო ელისაშვილის პარტია „მოქალაქეები".[43] 22 აგვისტოდან „ლელო საქართველოს" პარტიის სახელის ცვლილების შემდეგ კოალიციის სახელწოდებაა „ძლიერი საქართველო: ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!". დასახელების შეცვლის მოთხოვნით რეესტრს ასევე მიმართეს პარტიებმა: „ახალი" და „ნაციონალური მოძრაობა".[44]

ოფიციალური სახელწოდების შეცვლა პარტიებისთვის აქტუალური გახდა 2023 წლის ოქტომბერში საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შემდეგ. ამ ცვლილების მიხედვით, სახელი, რომლითაც პარტია დარეგისტრირდა, საარჩევნო ბიულეტენში უცვლელად მიეთითება.[45] კანონის ძველი რედაქცია პარტიებს საშუალებას აძლევდა, წესდებაში მითითებულ სახელწოდებასთან ერთად, ბიულეტენში მიეთითებინათ არაუ-მეტეს 3 ლიდერის სახელი და გვარი, ან - მხოლოდ გვარი.

საპარლამენტო არჩევნებში „პატრიოტთა ალიანსის" პარტიული სიით, კოალიციურ ფორმატში მიიღებენ მონაწილეობას შემდეგი პოლიტიკური სუბიექტები: „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო;[46] „ქართული იდეა"; „ქართული მისია"; „ეროვნული ერთობა"; „კონსერვატიულ-მონარქისტული პარტია" და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა".[47]

1.4. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის" შესახებ რუსული სტილის კანონი

რუსული სტილის კანონი (ოფიციალური სახელწოდება - „უცხოური გავლენის გამჭვირ-ვალობის შესახებ" კანონი), რომელიც არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებისთვის მასტიგმატიზებელი რეესტრის შექმნას ითვალისწინებს,[48] 2024 წლის 3 ივნისიდან, ხოლო მისი ძირითადი მუხლები 1-ლი აგვისტოდან ამოქმედდა. ამავე დღეს გამოქვეყნდა იუსტიციის მინისტრის ბრძანება,[49] რომლითაც განისაზღვრა სპეციალურ რეესტრში რეგისტრაციისა და მონიტორინგის პროცედურები.[50] რეგულირების მიხედვით, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაემატა ფინანსური დეკლარირების დეპარტამენტი, რომლის სტრუქტურაშიც რეგისტრაციისა და დეკლარირების მონიტორინგის სამსახურები შედიან.[51]

---

[43] „არჩევნები 2024: ასეთია პარტიების ბოლო კონფიგურაცია", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2024 წლის 19 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/hdz6fk4c, განახლებულია: 07.09.2024.

[44] „ამ არჩევნებისთვის „ლელომ" სახელი გადაირქვა", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2024 წლის 28 აგვისტო", ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/9kknapp7, განახლებულია: 07.09.2024.

[45] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი.

[46] 2024 წლის აპრილში, ანტიკორუფციული ბიუროს მიმართვის საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ პარტია „ალტ-ინფოს" რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება გააუქმა. ამის საფუძველი გახდა პარტიის რეგისტრაციის დოკუმენტებში გამოვლენილი ხარვეზები.

[47] „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 10 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/allianceofficiall/posts/pfbid02ufN1iHNhHhX3knkKnthPMuDnTFCdcAgU68Yu8j7vHeFU14K3ydt91rQNJ5eFtaTol, განახლებულია: 09.09.2024.

[48] „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.

[49] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 1-ლი აგვისტოს №1019 ბრძანება უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის წარმოების, საფინანსო დეკლარაციის წარდგენისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6238278?publication=0, განახლებულია: 09.09.2024.

[50] იქვე.

[51] „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლი; იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 29 ივლისის №1016 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №134 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ბრძანების თანახმად, ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ ფინანსური დეკლარირების დეპარტამენტი, შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, დაიწყებს მონიტორინგს, რომლის შედეგად აღმოჩენილი დაურეგისტრირებელი ორგანიზაცია 25 000 ლარით დაჯარიმდება და, მისი ნების მიუხედავად, დარეგისტრირდება.[52] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, ორგანიზაციებს 30 დღე აქვთ ჯარიმის გადასახდელად.[53] ვადის დარღვევის შემთხვევაში, დაიწყება იძულებითი აღსრულების ღონისძიებები.[54] ნიშანდობლივია, რომ ჯარიმის სასამართლოში გასაჩივრება აღსრულების პროცესს არ აჩერებს.

რუსული სტილის კანონის წინააღმდეგ საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის საჩივარი საკონსტიტუციო სასამართლომ 18 ივლისს დაარეგისტრირა.[55] პრეზიდენტის სარჩელის მიხედვით, კანონი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 78-ე მუხლს, რომელიც კონსტიტუციურ ორგანოებს ავალდებულებს, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.[56] კონსტიტუციის 78-ე მუხლზე აპელირებს 22 ივლისს ოპოზიციონერი დეპუტატების მიერ წარდგენილი საკონსტიტუციო სარჩელიც.[57] 24 ივლისს ამავე კანონის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სარჩელი დაარეგისტრირა 122-მა არასამთავრობო და მედია ორგანიზაციამ.[58] სარჩელის ავტორების აზრით, კანონი ზღუდავს „მოქალაქეთა უფლებას, გაერთიანდნენ საზოგადოდ სასიკეთო საქმის გასაკეთებლად" და ამ კანონით ხელისუფლება „მტრულ და ღირსების შემლახავ გარემოს ქმნის", რითაც საფრთხის ქვეშ დგება გაერთიანების, გამოხატვის თავისუფლებები.[59] საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი დამოუკიდებლად შეიტანეს „მთის ამბებმა"[60] და სტუდია „მონიტორმა".[61] 4-ვე სარჩელი ერთ წარმოებად გაერთიანდა. საქართველოს პრეზიდენტმა და პარლამენტის დეპუტატებმა, სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, კანონის მოქმედების, ხოლო არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებმა სადავო ნორმების შეჩერება მოითხოვეს.[62]

---

[52] იქვე.

[53] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლი.

[54] სააღსრულებო წარმოების შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლი.

[55] „პრეზიდენტი ზურაბიშვილი „გამჭვირვალობის კანონს" საკონსტიტუციოში ასაჩივრებს", საინფორმაციო პორტალი „COMMERSANT", 2024 წლის 14 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://commersant.ge/news/politc/prezidenti-zurabishvili-gamchvirvalobis-kanons-sakonstitutsioshi-asachivrebs, განახლებულია: 07.09.2024.

[56] კონსტიტუციური სარჩელი №1828, საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 18 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=16675, განახლებულია: 09.09.2024.

[57] „პრეზიდენტის უპრეცედენტო სარჩელი - საკონსტიტუციო სასამართლოს 78-ე მუხლის შესაძლო დარღვევაზე მოუწევს მსჯელობა", საინფორმაციო პორტალი „ რადიო თავისუფლება", 2024 წლის 16 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/mpn5mprz, განახლებულია: 09.09.2024.

[58] „რუსულ კანონს საკონსტიტუციოში 121 მედია და სამოქალაქო ორგანიზაცია ასაჩივრებს", საინფორმაციო პორტალი „netgazeti.ge", 2024 წლის 17 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/law/731890/, განახლებულია: 07.09.2024.

[59] იქვე.

[60] „მთის ამბების" გამომცემელი შპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი.

[61] „მთის ამბების" ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 16 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/mtisambebi/posts/pfbid0LEn5dMp4GbWdSc7SMaSyMsAH4SfohDvtgVAZK4ysuktkrBaGtknwfnFc4a5nWBQUl, განახლებულია: 09.09.2024.

[62] შპს „საინფორმაციო ცენტრების ქსელი" და ა(ა)იპ „სტუდია მონიტორი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ხელმისაწვდომია: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=17057; საქართველოს პარლამენტის წევრები: თამარ კორძაია, ანა ნაცვლიშვილი, ლევან ბეჟაშვილი და სხვები (სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ხელმისაწვდომია: https://www.constcourt.ge/ka/judicial-

2. წილისყრის პროცედურის წესის ცვლილება

ცესკომ 2024 წლის 16 აგვისტოს მიიღო დადგენილება, რომლითაც ახლებურად განისაზღვრა 2024 წლის 26 ოქტომბერს გასამართი არჩევნებისთვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურა და ვადები.[63] კერძოდ, დადგენილების მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შორის ფუნქციების გასანაწილებელი წილისყრა ყველა ტიპის უბნებზე კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-7 დღეს (19 ოქტომბერი) ჩატარდება.[64] მანამდე არსებული მოწესრიგებით, კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-7 დღისა, მხოლოდ გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის წევრების გამოვლენა ხდებოდა, ხოლო სხვა ფუნქციების გასანაწილებელი წილისყრა კენჭისყრის დღეს იმართებოდა.[65]

ცესკოს 20 აგვისტოს დადგენილება პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ლელო საქართველოსთვის" თბილისის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა.[66] სარჩელში აღნიშნულია, რომ ცესკოს არ ჰქონდა უფლებამოსილება, ორგანული კანონით განსაზღვრული წესი კანონქვემდებარე აქტით (დადგენილებით) შეეცვალა, ვინაიდან სახეზე არ იყო „შეუძლებლობა". საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი კი მხოლოდ ამგვარ საგამონაკლისო შემთხვევაში ანიჭებს ცესკოს მსგავს უფლებამოსილებას.

ასევე, მოსარჩელე მიუთითებდა, რომ წილისყრის ჩატარება მცირეხნიანი პროცედურაა, რომელიც ყოველთვის არჩევნების დღეს, დილის 7-იდან 8 საათამდე პერიოდში იმართებოდა. გარდა ამისა, მოსარჩელეები მიუთითებენ, რომ 2023 წლის 6 ოქტომბერს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით, უბნის გახსნის დრომ 15 წუთით ადრე გადმოიწია და, 1 საათის ნაცვლად, უკვე 1 საათსა და 15 წუთს შეადგენს. ამდენად, რამდენიმეწუთიანი პროცედურის ჩატარება და მისი მოსწრება, მით უფრო მაშინ, როდესაც საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე დროის მონაკვეთი კიდევ უფრო გახანგრძლივდა, არანაირი სირთულე არ არის. სარჩელში აგრეთვე აღნიშნულია, რომ დადგენილება უკანონოა, რადგან მისი მიღების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა.[67] პოლიტიკური პარტია „ლელო საქართველოსთვის" სარჩელზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება წარადგინა.[68] დოკუმენტის პროცედურულ ნაწილში აღნიშნულია, რომ საარჩევნო კოდექსით ცესკოს არ აქვს მინიჭებული უფლებამოსილება, დადგენილებით შეცვალოს ვადები იმ პირობებში, როდესაც შეუძლებელი არ გამხდარა წილისყრის პროცედურების ჩატარება

---

acts?legal=17000; ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", ა(ა)იპ „უფლებები საქართველო", ა(ა)იპ „სამოქალაქო საზოგადოების ფონდი" და სხვები (სულ 122 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ხელმისაწვდომია: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=16941; საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=16675.

[63] 2024 წლის 26 ოქტომბერს გასამართი არჩევნებისთვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურისა და ვადის განსაზღვრის შესახებ, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6247488?publication=0, განახლებულია: 07.09.24.

[64] იქვე, პირველი მუხლი.

[65] იქვე, პრეამბულა.

[66] გიორგი სიორიძე - ერთპარტიული ცესკო „ქართული ოცნებისთვის" სასარგებლო დადგენილებებს იღებს, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/809409-giorgi-siorize-ertpartiuli-cesko-kartuli-ocnebistvis-sasargeblo-dadgenilebebs-igebs/, განახლებულია: 07.09.24.

[67] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ლელო საქართველოსთვის" სარჩელი.

[68] საიას სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება №3/6138-24 საქმეზე, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/ge/post/ceskos-mier-tsilisyris-proceduris-cvlilebastan-dakavshirebit-saiam-sasamartlo-megobris-mosazreba-amicus-curiae-tsaradgina#sthash.Thb9wQH6.dpbs, განახლებულია: 29.08.24.

კენჭისყრის დღეს. ასევე, ბუნდოვანია, რა იგულისხმება ცესკოს მიერ დასახელებულ არგუმენტში წილისყრის პროცედურების განსხვავებულ ვადებში გამართვით გამოწვეული არაერთგვაროვნებისა და საარჩევნო პროცესის ორგანიზებულად წარმართვის ხელშეშლის შესახებ.

საიას მოსაზრებით, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ წილისყრის პროცედურის არჩევნების დღეს ჩატარება არ უკავშირდება საკითხის მხოლოდ ლოგისტიკურ გადაწყვეტას. იგი, მათ შორის, უზრუნველყოფს გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას, ზრდის საარჩევნო პროცესებისადმი ნდობას და აზღვევს კომისიის ცალკეული წევრების მიმართ შესაძლო დაშინების და ზეწოლის შემთხვევებს. აღსანიშნავია ისიც, რომ არაელექტრონული უბნების შემთხვევაში, უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურების რაოდენობა არ გაზრდილა. მით უფრო მაშინ, როდესაც პროცედურების ჩასატარებლად გამოყოფილი დროის მონაკვეთი 15 წუთით, ერთ საათსა და 15 წუთამდე გაიზარდა. დროის უკმარისობა არც ელექტრონული ტექნოლოგიებით აღჭურვილ უბნებთან მიმართებით გამოკვეთილა. ამასთანავე, სადავო დადგენილების პრეამბულაში აქცენტი კეთდება ჰიპოთეზურ პრობლემაზე და არ არის დასაბუთებული ამ წესის მიღების გარდაუვალობა ან აუცილებლობა. ეს ცვლილება ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებისთვის არსებითად აუარესებს არჩევნებზე დაკვირვების პროცესს. საიას აზრით, ცესკომ არასწორად განმარტა ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილება და სადავო დადგენილება ცვლილების საჭიროების სათანადო დასაბუთებისა და ლეგიტიმური სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიღო. ერთგვაროვანი საკანონმდებლო მოწესრიგების საჭიროების შემთხვევაშიც კი, ცესკოს ამ მიზნისთვის უპირატესი სიკეთის დაზიანების გარეშე უნდა მიეღწია. შედეგად, სადავო ცვლილება აუარესებს საარჩევნო კანონმდებლობას, ართულებს სადამკვირვებლო ორგანიზაციების საქმიანობას და გაუმჭვირვალეს ხდის პროცესს.[69]

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე №3/6138-24 არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა.[70] სასამართლომ გაიზიარა მოპასუხე მხარის წარმომადგენლის განმარტება და, გარდა მის მიერ მითითებული გარემოებებისა, მიიჩნია, რომ სადავო დადგენილებით განსაზღვრული პროცედურა და ვადები არ აწესებს რაიმე ისეთ რეგულაციას, რომელიც უფლებაშემზღუდველ ნორმად იქნებოდა აღქმული.[71] ამასთანავე, სასამართლოს აზრით, მოსარჩელემ ვერ მიუთითა იმგვარ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლებითაც დადასტურდებოდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მისი კანონიერი უფლებებისა ან ინტერესებისთვის ზიანის მიყენების ფაქტი.[72] დამატებით, გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ არც საქმის მასალებით და არც სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი პოზიციებით არ დადასტურდა კანონით დადგენილი ისეთი პროცედურული ნორმების დარღვევა, რომელთა არარსებობის შემთხვევაში ამ საკითხზე სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული.[73]

24 აგვისტოს საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა, რომელმაც გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.[74]

---

[69] იქვე.
[70] თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №3/6138-24, 20 აგვისტო, 2024 წელი.
[71] იქვე.
[72] იქვე.
[73] იქვე.
[74] „სააპელაციომ ძალაში დატოვა ცესკოს სადავო დადგენილება", საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი", 2024 წლის 23 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/738975/, განახლებულია: 29.08.24.

3. პოლიტიკური პარტიების რეგისტრაცია ცესკოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის

არჩევნებში კანდიდატების წარსადგენად პოლიტიკური პარტიები ცესკოში უნდა იყვნენ რეგისტრირებულნი.[75] იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც არჩევნების დანიშვნის დროისთვის არ ჰყავდათ მათი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრები, კანონის შესაბამისად, რეგისტრაციისთვის 25 000 მხარდამჭერის ხელმოწერების შეგროვება დაევალათ.[76] პარტიებისთვის ცესკოსადმი მიმართვის ვადა 15 ივლისს ამოიწურა და, საერთო ჯამში, უწყებას რეგისტრაციისთვის 30-მა პოლიტიკურმა პარტიამ მიმართა.[77] 30 პოლი-ტიკური პარტიიდან 2 მათგანის განაცხადი არ განხილულა (ერთ შემთხვევაში - საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებით პარტიის რეგისტრაციის გაუქმების გამო, მეორე შემთხვევაში - ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტის გამო).[78] დარჩენილი 28 პარტიიდან რეგისტრაცია გაიარა 17-მა,[79] 11-ს კი უარი ეთქვა.[80]

იმ პოლიტიკური პარტიებისთვის, რომლებსაც არჩევნების დანიშვნის დროისთვის ჰყავთ თავიანთი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრები, რეგისტრაციის ბოლო ვადა 30 სექტემბერია.

არჩევნებში მონაწილე პარტიამ პარტიული სია საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა (30 სექტემბერი).[81] 2023 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილების მიხედ-ვით, პარტიულ სიაში შეიძლება შეყვანილი იყოს მხოლოდ ამ პარტიის წევრი ან/და ის პირი, რომელიც არ არის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად რეგისტრირებული სხვა პარტიის წევრი.[82] კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესი ცესკოს დადგენილებით განისაზღვრა.[83] პარტიული სიის წარდგენისას არჩევნებში მონაწილე პარტია ვალდებულია, დოკუმენტაციას თან დაურთოს საქართველოს პარლამენტის წევრობის თითოეული კანდიდატის მიერ შევსებული და ხელმოწერილი განაცხადი პარტიული კუთვნილების შესახებ. ცესკოს 2024 წლის 16 აგვისტოს დადგენილებით განისაზღვრა კანდიდატის

[75] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 113-ე მუხლი.

[76] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 111-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

[77] „ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი", ,2024 წლის 19 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11033658-26-oktombris-archevnebistvis-politikuri-partiebis-natsilis-registratsiis-protsesi-dasrulda, განახლებულია: 09.09.2024.

[78] იქვე.

[79] „საქართველო"; „მესამე გზა"; „საქართველოს ლეიბორისტული პარტია"; „გახარია საქართველოსთვის"; „ჩვენი გაერთიანებული საქართველო"; „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია"; „სამართ-ლიანობისთვის"; „ანა დოლიძე - ხალხისთვის"; „თავისუფალი საქართველო"; „მემარცხენე ალიანსი"; „შეცვალე საქართველო"; „დემოკრატთა ალიანსი"; „ტრიბუნა"; „მწვანეთა პარტია"; „თავისუფალი არჩევანი - ახალი ალტერნატივა"; „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია"; „ქართველთა ერთობა".

[80] „ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი", 2024 წლის 19 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11033658-26-oktombris-archevnebistvis-politikuri-partiebis-natsilis-registratsiis-protsesi-dasrulda, განახლებულია: 09.09.2024.

[81] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 115-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

[82] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

[83] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის №34/2024 დადგენილება კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესის განსაზღვრის შესახებ, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6247504?publication=0.

პარტიული კუთვნილების შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესი,[84] ასევე, დაამტკიცა კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ განაცხადის ფორმა.[85]

საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, არჩევნებში მონაწილე ყოველ პარტიას უფლება აქვს, წარადგინოს 1 პარტიული სია. მასში პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 30-ზე ნაკლები და 200-ზე მეტი. საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი საარჩევნო რეგისტრაციაში არ გატარდება, ხოლო რეგისტრირებული კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით, თუ აღმოჩნდება, რომ კანდიდატი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად რეგისტრირებული სხვა პარტიის წევრია.

საარჩევნო სუბიექტს (პარტიას) რეგისტრაცია გაუუქმდება იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკური გაერთიანება კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში არ წარადგენს პარტიულ სიას, ასევე - თუკი არ გამოსწორდება წარდგენილ პარტიულ სიასთან დაკავშირებით დადგენილი ხარვეზები.

ცესკოს 16 აგვისტოს სხდომაზე ჩამოყალიბებული მიდგომის მიხედვით, პარტიის წევრის განცხადება პარტიის დატოვების შესახებ საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან არ საჭიროებს დამატებით რევიზიას, ხოლო პარტიის ხელმძღვანელის შემთხვევაში, ადმინისტრაციის მხრიდან გადამოწმდება, მიმდინარეობს თუ არა ამ საკითხზე წარმოება საჯარო რეესტრში.[86]

16 აგვისტოს სხდომაზე ცესკომ ასევე განსაზღვრა 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრები.[87]

---

[84] იქვე.

[85] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის №67/2024 განკარგულება კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ განაცხადის ფორმის დამტკიცების შესახებ, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/kanonmdebloba/tseskos-samartlebrivi-aqtebi/gankargulebebi/singleview/11033649-gankarguleba-672024-16082024, განახლებულია: 11.09.2024.

[86] ცესკოს სხდომა, 2024 წლის 16 აგვისტო, ვიდეოჩანაწერი ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=KyAz20ziSKc&t=11797s, განახლებულია: 09.09.2024.

[87] №1 – „კი ევროპას - სტრატეგია აღმაშენებელი"; 2. №2 – „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის"; 3. №3 – „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია"; 4. №4 – „ახალი ერთობა გვარამია მელია"; 5. №5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"; 6. №6 – „საქართველოს ევროპელი დემოკრატები"; 7. №7 – „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები"; 8. №8 – „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"; 9. №9 – „ლელო საქართველოსთვის"; 10. №10 – „საქართველოს ლეიბორისტული პარტია"; 2 11. №11 – „საქართველოს რესპუბლიკური პარტია"; 12. №12 – „ჩვენი გაერთიანებული საქართველო"; 13. №13 – „საქართველოს სოციალ - დემოკრატიული პარტია"; 14. №14 – „მესამე გზა"; 15. №15 – „სამართლიანობისთვის"; 16. №16 – „შეცვალე საქართველო"; 17. №17 – „საქართველო"; 18. №18 – „პროგრესი და თავისუფლება"; 19. №19 – „დემოკრატთა ალიანსი"; 20. №20 – „თავისუფალი საქართველო"; 21. №21 – „ტრიბუნა"; 22. №22 – „კანონი და სამართალი"; 23. №23 – „თავისუფალი არჩევანი - ახალი ალტერნატივა"; 24. №24 – „მწვანეთა პარტია"; 25. №25 – „გახარია საქართველოსთვის"; 26. №26 – „მემარცხენე ალიანსი"; 27. №27 – „ქართველ ერთობა"; 28. №36 – „ახალი პოლიტიკური ცენტრი"; 29. №41 – „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"; 30. №48 – „ანა დოლიძე - ხალხისთვის". ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/kanonmdebloba/tseskos-samartlebrivi-aqtebi/gankargulebebi/singleview/11033631-gankarguleba-662024-16082024.

4. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობრივი ქმედებები და აგიტაციაში ხელშეშლა

საანგარიშო პერიოდში საიამ აღრიცხა საარჩევნო კამპანიაში/აგიტაციაში ხელშეშლისა და ოპოზიციონერ ლიდერებზე თავდასხმის შემთხვევები. მსგავსი ქმედებები ზრდის პოლარიზაციის და კონფრონტაციის დონეს, რაც ნეგატიურად აისახება წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდზე და საფრთხეს უქმნის თავად არჩევნების დღის მშვიდ, სამართლიან გარემოში ჩატარებას.

წინასაარჩევნო კამპანიის მშვიდ და არაძალადობრივ გარემოში ჩატარება კენჭისყრის დღეს მოქალაქეთა მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვის წინაპირობაა. თითოეულ ფაქტზე, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ამ ღირებულებებს, სახელმწიფოს მყისიერი და მიუკერძოებელი რეაგირება ევალება. არავის უნდა ჰქონდეს განცდა, რომ ძალადობრივი ხერხების გამოყენებით ამომრჩეველზე წინდაწინ, ირიბად მოახდენს გავლენას.

4.1. თავდასხმა პარტია „ახლის" თანათავმჯდომარე ნიკა მელიაზე

პარტია „ახლის" თანათავმჯდომარე ნიკა მელიას 11 აგვისტოს თავს დაესხნენ. ის სამტრედიაში ოფისის გახსნაზე ჟურნალისტების კითხვებს პასუხობდა, რა დროსაც მას ახალგაზრდა მამაკაცმა სახის არეში ხელი დაარტყა და შეაგინა.[88] მომხდარს ხმაური მოჰყვა.[89] მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, თავდამსხმელი საბა ნიკოლეიშვილია, რომელიც, ადგილობრივების თქმით, „ქართული ოცნების" მხარდამჭერია.[90] გამოძიება შესაბამისმა ორგანოებმა სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის საფუძველზე დაიწყეს, რაც ძალადობას გულისხმობს.[91]

2024 წლის 27 აგვისტოს საიამ შსს-ს მიმართა და ამ ფაქტზე გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით ინფორმაცია გამოითხოვა. უწყების მიერ გამოგზავნილი პასუხის მიხედვით, ჯერჯერობით კონკრეტული პირის იდენტიფიკაცია არ მომხდარა, თუმცა, საქმეზე გამოძიება გრძელდება.[92]

საია მიიჩნევს, რომ აუცილებელია ამ საქმის დროული და მიუკერძოებელი გამოძიება, ვინაიდან მისი გაჭიანურება, შესაძლოა, ამგვარი ქმედებების წახალისებად იყოს აღქმული საზოგადოების მხრიდან.

4.2. პარტია „საქართველოსთვის" კამპანიის წარმოებისთვის ხელის შეშლა

2024 წლის 3 აგვისტოს პარტია „საქართველოსთვის" ქალაქ ბათუმში მართავდა ამომრჩევლებთან შეხვედრას, რა დროსაც პარტიის ლიდერ გიორგი გახარიას მოქალაქე

---

[88] „სამტრედიაში ნიკა მელიას თავს დაესხნენ", საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი", 2024 წლის 11 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/808788-samtrediashi-nika-melias-tavs-daesxnen, განახლებულია: 14.08.24.

[89] იქვე.

[90] „მილევადი რეჟიმების საქციელია ნიკა მელიაზე თავდასხმა სამტრედიაში", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2024 წლის 12 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/VVomp, განახლებულია: 14.08.24.

[91] იქვე.

[92] შსს-ს 2024 წლის 18 სექტემბრის წერილი.

სიტყვიერად დაუპირისპირდა.[93] გავრცელებული ინფორმაციით, ეს პიროვნება მანუჩარ რიჟვაძე იყო, „ქართული ოცნების" აქტივისტი, აჭარის გარემოს დაცვის სამმართველოს თანამშრომელი და თორნიკე რიჟვაძის ნათესავი.[94] დაპირისპირების მხოლოდ ვერბალური ხასიათის მიუხედავად, შეიქმნა ერთგვარი მტრული გარემო, რამაც შეხვედრის თავისუფლად ჩატარებას ხელი შეუშალა. გავრცელებული ინფორმაციით, მანუჩარ რიჟვაძის თანმხლები პირები აგრეთვე იყვნენ საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული პირები და „ქართული ოცნების" კოორდინატორები.[95] ესენი არიან: ნუგზარ ინაიშვილი - ბათუმის მერიის გამწვანების სამსახურის თანამშრომელი („ქართული ოცნების" ზონის კოორდინატორი), ზურაბ მალაზონია - ბათუმის მერიის ბაღების გაერთიანების თანამშრომელი („ქართული ოცნების" უბნის კოორდინატორი), გაბი კამაევი - ბათუმის საკრებულოს „ქართული ოცნების" ფრაქციის სპეციალისტი („ქართული ოცნების" აქტივისტი).[96] რიჟვაძის თანმხლებმა პირებმა ვერბალური ფორმით შექმნეს დაძაბული გარემო და დაუპირისპირდნენ იქ შეკრებილ პარტია „გახარია საქართველოსთვის" მხარდამჭერებს.[97]

პოლიტიკურ პარტიებს უნდა ჰქონდეთ ამომრჩევლებთან შეხვედრისა და საკუთარი აქტივობების მშვიდ, არაძალადობრივ გარემოში წარმართვის შესაძლებლობა. „ქართულმა ოცნებამ" თავი უნდა შეიკავოს ოპონენტების კამპანიურ ღონისძიებებზე საკუთარი მხარდამჭერების მობილიზებისა და დასწრებისგან და არ უნდა დაუშვას სხვა პარტიების საქმიანობისთვის ხელის შეშლა.

[93] „ასე განაცდა ოცნება", გიორგი გახარიას ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 3 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/GakhariaGiorgi/videos/8181816031885970/?ref=embed_video&t=7, განახლებულია: 14.08.24.

[94] „ნათია მეზვრიშვილი - „ოცნებამ" პარლამენტის თავმჯდომარის მიერ 26 ივლისს დაანონსებული მუქარის რეალიზება და საარჩევნო კამპანიის ხელშეშლა დაიწყო - მძიმე სანახავია, როგორ იყენებს „ოცნება" „ნაცმოძრაობის" მეთოდებს", საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი", 2024 წლის 6 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/808262-natia-mezvrishvili-ocnebam-parlamentis-tavmjdomaris-mier-26-ivliss-daanonsebuli-mukaris-realizeba-da-saarchevno-kampaniis-xelsheshla-daicqo-mzime-sanaxavia-rogor-iqenebs-ocneba-nacmozraobis-metodebs/, განახლებულია: 15.08.24.

[95] იქვე.

[96] იქვე.

[97] „ასე განაცდა ოცნება", გიორგი გახარიას ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 3 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/GakhariaGiorgi/videos/8181816031885970/?ref=embed_video&t=7, განახლებულია: 14.08.24.

5. სამსახურიდან სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება

5.1. კლეოპატრა ქარუმაშვილის საქმე

კლეოპატრა ქარუმაშვილი ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოში ექსტრაკურიკულური აქტივობების შეფასებისა და მხარდაჭერის სპეციალისტის პოზიციაზე 2022 წლიდან მუშაობდა.[98] ქარუმაშვილის მიერ საიასთვის მიწოდებული ინფორმაციით, მას ხელმძღვანელობამ მოსთხოვა სამუშაო პროგრამიდან იმ ნაწილის ამოღება, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას და ერთობლივი პროექტების განხორციელებას გულისხმობდა.

ამის შემდეგ, ქარუმაშვილის თქმით, გათავისუფლებამდე რამდენიმე დღით ადრე მას პროფესიული უნარების სააგენტოს ხელმძღვანელმა ირინა მარგიშვილმა სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადების დაწერა „ურჩია". ამავე საუბრის დროს მარგიშვილმა ყურადღება გაამახვილა მის პოლიტიკურ მოსაზრებებზე, სააგენტოში განხორციელებული საკადრო ცვლილებების[99] მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებაზე, სოციალურ ქსელში გაზიარებულ კრიტიკულ პოლიტიკურ პოსტებზე და სხვა პირების პოსტებთან მიმართებით მის რეაქციებზე. ირინა მარგიშვილმა საუბარში ხაზი გაუსვა ქარუმაშვილის პროფესიონალიზმს, მაგრამ იქვე დასძინა, რომ მას ორგანიზაციაში „სრული ერთგულება" სჭირდებოდა.

როგორც საიას სადამკვირვებლო მისიისთვის გახდა ცნობილი, კლეოპატრა ქარუმაშვილმა უარი თქვა სამსახურიდან წასვლის შესახებ პირადი განცხადების დაწერაზე, რის შემდეგაც, რამდენიმე დღეში, ე.წ. რეორგანიზაცია[100] გამოცხადდა და ის თანამდებობიდან გაათავისუფლეს.[101] მისი თქმით, რეორგანიზაცია მხოლოდ მას შეეხო, კადრების შემცირების მაგივრად კი, ქარუმაშვილის ადგილზე სააგენტომ ორი ახალი თანამშრომელი აიყვანა.[102]

რეორგანიზაციის მიზეზად დასახელდა პროგრამის სტრუქტურის, თანამდებობებისა და ქვეპროგრამების ახლიდან ჩამოყალიბება პრიორიტეტების გათვალისწინებით. თუმცა, კლეოპატრა ქარუმაშვილის აზრით, ამ ყველაფრის რეალური მიზეზი განსხვავებული შეხედულების მქონე პირის სამსახურიდან გათავისუფლება იყო.

საია მიიჩნევს, რომ რეორგანიზაციის საფუძვლით ხელისუფლების ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებებისადმი კრიტიკულად განწყობილი პირის სამსახურიდან გათავისუფლება, შესაძლოა, შეიცავდეს პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის ნიშნებს, მით უფრო მაშინ, როდესაც ქარუმაშვილის კომპეტენცია არ გამხდარა სადავო და, მისი თქმით, რეორგანიზაციას, რეალურად, შტატების შემცირება არ მოჰყოლია.

---

[98] „პოლიტიკური მოსაზრებების გამო გამათავისუფლეს" – პროფესიული უნარების სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი", საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი", 2024 წლის 7 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/735182/, განახლებულია: 12.09.2024.

[99] კლეოპატრა ქარუმაშვილის სამსახურიდან გათავისუფლებას წინ უძღოდა 2024 წლის მარტში დაკავებული პოზიციიდან სააგენტოს არჩეული დირექტორის - თამარ ქიტიაშვილის გათავისუფლება, რასაც სულ მალე სააგენტოს სრული მენეჯმენტის მხრიდან თანამდებობების დატოვება მოჰყვა.

[100] „საქართველოს შრომის კოდექსის" 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი.

[101] ა(ა)იპ - „პროფესიული უნარების სააგენტოს" ინსტიტუციური განვითარების გუნდის ექსტრაკურიკულური აქტივობების კოორდინატორ კლეოპატრა ქარუმაშვილთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ 2024 წლის 25 ივნისის №748671 ბრძანება.

[102] ინფორმაციის დამატებით გადამოწმების მიზნით, საიამ მიმართა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს. ამ ეტაპზე ორგანიზაციას პასუხი არ მიუღია.

6. სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფა

6.1. ადმინისტრაციული რესურსის მობილიზება „ქართული ოცნების“ საარჩევნო შეხვედრაზე

მედიასაშუალებებით გავრცელდა კადრები, როგორ იკრიბებოდნენ საჯარო მოხელეები, ადგილობრივ ა(ა)იპ-ებში დასაქმებული პირები და პედაგოგები 21 აგვისტოს მცხეთაში, „ქართული ოცნების” წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებაზე დასასწრებად.[103] ტელეკომპანია „პირველის” მიერ მომზადებული სიუჟეტის თანახმად, პედაგოგების ნაწილი დირექტორმა დაიბარა და მათ „მთავრობასთან” შეხვედრაში მონაწილეობისკენ მოუწოდა.[104] ნიშანდობლივია, რომ ეს იყო პარტიული და არა სამთავრობო ღონისძიება, შესაბამისად, პედაგოგებს არასწორი ინფორმაცია მიეწოდათ. მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებში დასაქმებულ პირებს ღონისძიებაში მონაწილეობისკენ აქტიურად მოუწოდებდნენ მუნიციპალური ორგანოების ხელმძღვანელებიც.[105]

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდი არჩევნებამდე 60 დღით ადრე იწყება, ეს პროცესი სცდება კანონმდებლობით დადგენილ ოფიციალურ პერიოდს და მოიცავს ყველა საქმიანობას, რომლებსაც მოქმედი მთავრობის წარმომადგენლები ახორციელებენ კანდიდატების, პოლიტიკური პარტიების ან კოალიციის მხარდასაჭერად ან მათ წინააღმდეგ. ამას ადასტურებს ვენეციის კომისიაც.[106] შესაბამისად, საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებული პირების პარტიული ღონისძიებებისთვის მობილიზება და მათი, სავარაუდოდ, მოტყუებით ჩართვა, მათ შორის, არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე, ცუდ პრაქტიკას ამკვიდრებს, ბუნდოვანს ხდის ზღვარს სახელმწიფოსა და პარტიას შორის და ხელს უშლის თანასწორი, სამართლიანი საარჩევნო პროცესის წარმართვას.

ამდენად, მსგავსი შემთხვევები მმართველი პარტიის მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ნიშნებს შეიცავს და არ შეესაბამება პარტიული, ადმინისტრაციული რესურსის გამიჯვნის პრინციპს.

6.2. საბიუჯეტო ორგანიზაციის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სააგიტაციო მასალის გავრცელება

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა საბიუჯეტო ორგანიზაციის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სააგიტაციო მასალის გავრცელების შემთხვევა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრში” მოძრავი ბიბლიოთეკის პროექტის ფარგლებში დასაქმებული პირი (ბიბლიოთეკის თანამშრომელი) ადგილობრივებს, წიგნებთან ერთად, მმართველი პარტიის საარჩევნო-

---

[103] „საჯარო მოხელეების მობილიზება მცხეთაში - „ოცნებას” ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენებაში ამხელენ”, ტელეკომპანია „პირველის” ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 22 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/78294-sajaro-mokheleebis-mobilizeba-mtskhetashi-otsnebas-administratsiuli-resursis?fbclid=IwY2xjawFARWdleHRuA2FlbQIxMAABHeYX2gGYwk73UfHG22wH4Zux1l8BhJ464v8QAua5I-r9vK7bl1dx5m7iEw_aem_dAFPV44lmP0NqeZucjZbMg, განახლებულია: 10.09.2024.

[104] იქვე.

[105] იქვე.

[106] VENICE COMMISSION, REPORT ON THE MISUSE OF ADMINISTRATIVE RESOURCES DURING ELECTORAL PROCESSES, Strasbourg, 16 December 2013, para. 9.

სააგიტაციო მასალას ურიგებდა.[107] ეს იყო პარტიული გაზეთები „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის ფოტოებით.[108] თავდაპირველად, ბიბლიოთეკის Facebook-გვერდზე გავრცელებულ ინფორმაციას თანდართული ჰქონდა შესაბამისი ფოტოები, რომლებზეც ეს შეხვედრებია აღბეჭდილი.

წყარო: მედია საშუალება „infoimereti.ge”

მერის მოადგილის განცხადებით, მუნიციპალიტეტს მსგავსი დავალება არავისთვის მიუცია. მერიამ ამ საკითხის შესწავლა და პასუხისმგებელი პირების მიმართ სამართლებრივი ზომების გატარება დააანონსა.[109]

მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტები ოფიციალური წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე გამოვლინდა, ეს არის მანკიერი პრაქტიკა, რომელიც ნეგატიურად აისახება, ზოგადად, საარჩევნო გარემოზე. შესაბამისად, მართალია, შესაბამისი შეზღუდვები კამპანიის პერიოდში (არჩევნებამდე 2 თვით ადრე) შედის ძალაში, თუმცა საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და მათი თანამშრომლების თვითშეზღუდვისა და ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვის ვალდებულება უფრო ვრცელ პერიოდს მოიცავს. ამასთანავე, ადმინისტრაციული და პარტიული რესურსების გამიჯვნის პრინციპის თანახმად, დაუშვებელია საბიუჯეტო დაწესებულებების რესურსის გამოყენება პარტიული მიზნებისთვის, ასევე, მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას პოლიტიკური, პარტიული თუ სააგიტაციო საქმიანობის განხორციელება, მათ შორის, კონკრეტული პარტიის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ საარჩევნო მასალების გავრცელება.

[107] „ხარაგაულში ბიბლიოთეკის კურიერმა წიგნებთან ერთად მოქალაქეებს ივანიშვილის ფოტოიანი გაზეთები მიუტანა, მერია პარტიული დავალების გაცემას უარყოფს”, ტელეკომპანია „მთავარის” ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 10 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://mtavari.tv/news/160767-kharagaulshi-bibliotekis-kurierma-cignebtan-ertad, განახლებულია: 10.09.24.

[108] იქვე.

[109] იქვე.

6.3. ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები განაგრძობდნენ ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განხორციელებას.

ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად 2024 წლის ივლისსა და აგვისტოში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებაში რამდენიმე ცვლილება შევიდა. შედეგად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მუნიციპალიტეტებს ჯამში 469 170 612 ლარი გამოუყო.[110] აღსანიშნავია, რომ აქედან ყველაზე მცირე ტრანსფერი შეადგენს დაახლოებით 5 მილიონ ლარს, რომელიც გადაეცემა, მათ შორის, ჩოხატაურის, ასპინძის, ყაზბეგისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებს. ხოლო ყველაზე დიდი ტრანსფერი, 16 მილიონ ლარზე მეტი, ქალაქ ქუთაისისა და გორის მუნიციპალიტეტებმა მიიღეს.

ცნობისთვის, ამ განკარგულების დანართების სახით დადგინდა თითოეულ მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების სიაც. დანართის მიხედვით, საქართველოს 57 სხვადასხვა მუნიციპალიტეტში 1200-მდე წვრილი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება იგეგმება.[111] როგორც ირკვევა, ეს თანხა მთლიანად დაიხარჯება ქალაქების, მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების, სოფლების ქუჩებისა და გზების რეაბილიტაციაზე, სტადიონების მშენებლობაზე, წყალმომარაგების სისტემის გამართვაზე, მუზეუმების რეაბილიტაციაზე და ა.შ.

გარდა ამისა, 2024 წლის მაისში 68 მილიონი ლარით გაიზარდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიც,[112] რომლითაც საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული (დაახლ. 66 მლნ ლარი), ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტული პროექტები.[113]

ასევე, დევნილთა განსახლების პროგრამის ფარგლებში, არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე დასრულდება 3 საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე. დევნილთა ოჯახებისთვის ბინები შენდება შერვაშიძის ქუჩაზეც.[114] მომდევნო თვეებში ქუთაისში საცხოვრებელი ბინა ჯამში 1040 დევნილ ოჯახს გადაეცემა.[115] ამავე პროგრამის ფარგლებში

---

[110] საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 ივლისის განკარგულება №1008 „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/index.php?lang_id=RUS&sec_id=602&info_id=89061; საქართველოს მთავრობის 2024 წლის 14 აგვისტოს განკარგულება №1146 „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2402 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=602&info_id=89324.

[111] საქართველოს მთავრობის 2024 წლის 14 აგვისტოს განკარგულება №1146 „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2402 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=602&info_id=89324.

[112] „ბათუმის ბიუჯეტი გაიზარდა", საინფორმაციო პორტალი „Adjaratv.ge°, 2024 წლის 31 მაისი, ხელმისაწვდომია: https://ajaratv.ge/article/133640, განახლებულია: 24.08.2024.

[113] „ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები", ბათუმის მერიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://old.batumi.gov.ge/posts/8276, განახლებულია: 11.09.2024.

[114] „ქუთაისში, დევნილებისთვის განკუთვნილი კორპუსების მშენებლობა დასასრულს უახლოვდება", საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 27 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.moh.gov.ge/viewnews.php?lang=1&uid=20240827123543717067881 8, განახლებულია: 29.08.2024.

[115] იქვე.

ზუგდიდში იწყება 7 მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობა, რომლებშიც 1700 დევნილი ოჯახი შესახლდება.[116] პროექტის ღირებულება 191 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს.[117]

გარდა ამისა, 2024 წლის 26 აგვისტოს საქართველოს მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ წლის ბოლომდე 1000-ზე მეტ სამხედრო მოსამსახურეს საცხოვრებელი ბინები გადაეცემა.[118] მან ასევე აღნიშნა, რომ მსგავსი პროექტი გათვალისწინებულია მომდევნო წლისთვისაც.[119]

ეუთოს სტანდარტების მიხედვით, საარჩევნო სუბიექტების რესურსებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი დისბალანსი მმართველი პარტიის სასარგებლოდ, რაც გამოიხატება „ხელისუფლებაში ყოფნით მინიჭებული უპირატესობით", როგორიცაა, მათ შორის, სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული თუ სოციალური პროექტების განხორციელება, დაპირება და ა.შ.[120] მიუხედავად იმისა, რომ ამ პროექტების უმრავლესობა საარჩევნო პერიოდამდე დაიგეგმა და დაიწყო, ამ დროს მათი აქტიური მიმდინარეობა, მმართველი პარტიის წარმომადგენელი თანამდებობის პირების მიერ ამ პროექტების გახსნა და სხვა აქტივობები, შესაძლოა, სახელმწიფოსა და პარტიას შორის ზღვარს ბუნდოვანს ხდიდეს და ეწინააღმდეგებოდეს ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის სტანდარტებსა და კარგ პრაქტიკას.[121]

შესაბამისად, საიას მოსაზრებით, საარჩევნო წელს მრავალრიცხოვანი და მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით ადგილობრივი თვითმ-მართველობის ბიუჯეტის განსაკუთრებული ზრდა, მათი საარჩევნო პერიოდისთვის დასრულება და გახსნა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ამომრჩევლის ნებაზე მმართველი პარტიის სასარგებლოდ, ადგენს ცუდ პრაქტიკას და აჩენს მის მიერ ადმინისტრაციული რესურსის არამართლზომიერი გამოყენების ეჭვს. ამასთანავე, ამგვარმა ცუდმა პრაქტიკამ, შესაძლოა, ერთი მხრივ, გაართულოს პარტიისა და სახელმწიფოს გამიჯვნა, ხოლო, მეორე მხრივ, მმართველი პარტია, არჩევნებში მონაწილე სხვა პოლიტიკურ სუბიექტებთან შედარებით, აშკარად უპირატეს, უთანასწორო მდგომარეობაში ჩააყენოს.

---

[116] „ზუგდიდში, 1700 დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით, 7 მრავალსართულიანი კორპუსი აშენდება", საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 27 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.moh.gov.ge/viewnews.php?lang=1&uid=202408271244134025506740, განახლებულია: 29.08.2024.

[117] იქვე.

[118] „პრემიერ-მინისტრის განცხადებები მთავრობის სხდომაზე", საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 26 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=596&info_id=89367, განახლებულია: 29.08.2024.

[119] იქვე.

[120] მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, საბოლოო ანგარიში, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, 2022 წლის 8 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/files/f/documents/e/7/516627.pdf?fbclid=IwY2xjawFOOPVleHRuA2FlbQIxMAABHSyID383br01xJEVLDeS4s8YQQ9fvduhNkelUT2_5aG0HDI9gPRl4STfHw_aem_RmCHa5dgQbxqx4o064IXPw, გვ. 5.

[121] იქვე, გვ. 28.

6.4. შტატების ზრდა მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებში

საარჩევნო წელს გამოიკვეთა მუნიციპალურ ორგანოებში, ა(ა)იპ-ებსა და შპს-ებში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა. ამ კუთხით მუნიციპალიტეტებში არსებული დინამიკის და ზოგადი ტენდენციის გამოკვეთის მიზნით, საიამ შესაბამისი კვლევა ჩაატარა.

მუნიციპალიტეტების საკრებულოებიდან მიღებული ინფორმაციით და ზოგადი დაკვირვებით გამოიკვეთა, რომ საკრებულოებში დასაქმებულთა (მათ შორის, შრომითი ხელშეკრულებით) რაოდენობა არ გაზრდილა. რამდენიმე საკრებულოში დაემატა მხოლოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

არსებითად იგივე ტენდენცია იკვეთება მუნიციპალიტეტის მერიებში. მიუხედავად იმისა, რომ საშტატო ნუსხაში შეინიშნება გარკვეული მოდიფიცირება, ისინი, ძირითადად, განპირობებულია სხვადასხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტით ან სტრუქტურული ცვლილებებით. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს მერიებში, ახალი ,,თავდაცვის კოდექსის“ შესაბამისად, გაუქმდა სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურები.

დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის კუთხით ყველაზე აქტიური სფერო მუნიციპალური შპს-ები და ა(ა)იპ-ებია. მუნიციპალიტეტის მერიის პასუხების მიხედვით, 2024 წელს დასაქმებულთა ზრდა შეინიშნება გარკვეულ ა(ა)იპ-ებში. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალური იურიდიული პირები შექმნილია ადგილობრივი სერვისების მისაწოდებლად და მოიცავს ინფრასტრუქტურულ, ჯანდაცვის, სოციალურ, კულტურულ თუ საგანმანათლებლო პროექტებს. ამ სტატუსით სარგებლობენ ადგილობრივი სკოლამდელი აღზრდის (საბავშვო ბაღების) გაერთიანებები, რომლებიც სტანდარტულად ყველაზე მსხვილი დამსაქმებლები არიან ადგილობრივ დონეზე. როგორც მერიის პასუხებიდან ირკვევა, ყველაზე მცირე ცვლილებები განხორციელდა ჯანდაცვის და სამედიცინო სერვისების მიმწოდებელ ა(ა)იპ-ებში და, გარკვეულ შემთხვევებში, აქ დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა კიდეც. მაგალითად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ცენტრში კადრების რაოდენობა 25-ით შემცირდა.[122] იგივე ტენდენცია გამოვლინდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტშიც.[123]

თუმცა, თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში, რომელთა შესახებაც საიამ ინფორმაცია მიიღო, დასაქმებულთა ზრდა შეინიშნება ერთსა და იმავე ადგილობრივ იურიდიულ პირებში. 2024 წლის პირველ ნახევარში ყველაზე მეტი ადამიანი დასაქმდა: კეთილმოწყობა-დასუფთავების, სატრანსპორტო, სკოლამდელი აღზრდის (საბავშვო ბაღების) და წყალმომარაგების სერვისების განმახორციელებელ იურიდიულ პირებში. საანგარიშო პერიოდში მუნიციპალურ სატრანსპორტო კომპანიებში დაემატა მძღოლებისა და კონტროლიორების შტატები შემდეგ მუნიციპალიტეტებში: გორი - 4 ახალი შტატი ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოში",[124] თელავი - 7 მძღოლისა და 5 კონტროლიორის შტატი ა(ა)იპ „თელავის სატრანსპორტო სამსახურში",[125] სიღნაღი - 20 ახალი შტატი ა(ა)იპ „კომუნალური 1-ში“ სატრანსპორტო მომსახურების განხორციელების მიზნით.[126] გარდა ამისა, დაახლოებით 350 კადრით გაიზარდა შპს „ბათუმის ავტოტრან-

[122] ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 19 ივლისის წერილი №22-222420146.
[123] ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 19 ივლისის წერილი №01-302420151.
[124] გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 25 ივლისის წერილი №0-2024207262.
[125] თელავის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 17 ივლისის წერილი №01-262419931.
[126] სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 23 ივლისის წერილი №08-542420554.

სპორტის" საშტატო ნუსხა,[127] თუმცა, საიას მიმართვის საპასუხოდ, მერიას და შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტს" ამ მასშტაბის ცვლილების საჭიროების შესახებ ინფორმაცია არ მოუწოდებია.

გარდა ამისა, შტატები გაიზარდა სხვადასხვა მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვისების განმახორციელებელ იურიდიულ პირებშიც. გაიზარდა მეეზოვეთა, სასაფლაოს მომწესრიგებელთა, გარე განათებისა და მსგავსი პოზიციის შტატები. მაგალითად, ა(ა)იპ „ახალციხის სასაფლაოების მართვის ცენტრს" დაემატა 3, ხოლო ა(ა)იპ „ახალციხის სერვის ცენტრს" 12 ახალი კადრი;[128] ა(ა)იპ „ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრს" - 13 ახალი კადრი;[129] ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრს" - 17;[130] საგარეჯოს შპს „სუფთა მუნიციპალიტეტი 2018-ს" - 25;[131] ხოლო ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახურს" - 18 საშტატო ერთეული.[132] გარდა ამისა, დასუფთავება-კეთილმოწყობის სამსახურებში შტატების გაზრდა განხორციელდა ადიგენის, დუშეთის, მარტვილის, მცხეთის, ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტებში.

შტატების საგრძნობი ზრდა შეინიშნებოდა სხვადასხვა მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრებშიც. მაგალითად, ა(ა)იპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურს" 2024 წელს დაემატა 42 ახალი კადრი,[133] ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას" კი - 39.[134] გაიზარდა ასევე დუშეთის, საგარეჯოსა და სენაკის ბაღების გაერთიანების შტატები.

გარდა ამისა, შტატები გაიზარდა სხვადასხვა მუნიციპალურ სამსახურში, მათ შორის, წყალმომარაგებისა და კულტურის სამსახურებში. მაგალითად, ა(ა)იპ „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში" 2024 წელს დაემატა მეეზოვის 4 და სოფლის კლუბის სპეციალისტის 12 საშტატო ერთეული;[135] ა(ა)იპ „ქარელის კეთილმოწყობის ცენტრში", 2024 წელს გაუქმებული 25 ინკასატორის პოზიციის ნაცვლად, დაემატა 13 დეკორატორის, 15 წყალსაქაჩი სადგურის ოპერატორისა და 2 მძღოლის შტატი. საბოლოო ჯამში, 2024 წლის პირველ ნახევარში საქართველოს მასშტაბით მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებში 800-მდე ახალი კადრი დასაქმდა.

წარმოდგენილი ინფორმაციიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ შტატების ზრდა არ შეინიშნება ბევრ მუნიციპალიტეტში, არსებული ტენდენცია მაინც ცუდ პრაქტიკას ნერგავს ქვეყანაში წინასაარჩევნოდ და ქმნის იმის ეჭვს, რომ მუნიციპალურ ორგანოებსა და იურიდიულ პირებში იქ მცხოვრებ პირთა დასაქმება წინასაარჩევნოდ მმართველი პარტიისა და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ხმების მოპოვების ერთ-ერთი საშუალებაა. საიას მოსაზრებით, არსებული პრაქტიკა არღვევს სახელმწიფოსა და პარტიის, ადმინისტრაციული და პარტიული რესურსების გამიჯვნის პრინციპს.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო წინასაარჩევნოდ საჭიროების გარეშე არ იყენებდეს მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებში კადრების დასაქმების ინსტრუმენტს, რაც მმართველი პარ-

[127] ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 5 აგვისტოს წერილი №01-1424218240.
[128] ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 24 ივლისის წერილი №12-122420656.
[129] ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 19 ივლისის წერილი №22-222420146.
[130] ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 17 ივლისის წერილი №92-922419944.
[131] საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 18 ივლისის წერილი №06-52242006.
[132] ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 26 ივლისის წერილი №88-882420817.
[133] დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 18 ივლისის წერილი №108-1082420010.
[134] წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ-ები და შპს-ები, საშტატო ნუსხა 2024, ხელმისაწვდომია: https://tskaltubo.gov.ge/aaip-ebi/, განახლებულია: 22.08.2024.
[135] ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 23 ივლისის წერილი №46-462420569.

ტიის მიერ, ადმინისტრაციული რესურსის ხარჯზე, ამომრჩეველთა ხმების მობილიზების რისკს ქმნის.

6.5. ამნისტიის კანონპროექტი

ფრაქციამ „ქართული ოცნება" 2024 წლის 10 ივლისს დააინიციირა კანონპროექტი ამნისტიის შესახებ,[136] რომელიც პარლამენტმა სექტემბერში მიიღო.[137] მანამდე, 2024 წლის 19 ივლისს, მას პირველი მოსმენით მხარი 82-მა დეპუტატმა დაუჭირა.[138] ოპოზიციის დიდი ნაწილი სხდომას არ დასწრებია. ისინი ბოიკოტის რეჟიმში იყვნენ.[139] კანონპროექტი ეხება ჯამში 4 839 პატიმარს, დაუყოვნებლივი გათავისუფლების საკითხი კი - 1 000 მათგანს.[140] სასჯელის 1/6-ით შეკვეცა და პრობაციონერებისთვის პირობითი მსჯავრის შემცირება მნიშვნელოვანი სიახლეა. დღეს არსებული 22 000 პრობაციონერიდან ამნისტია დაუყოვნებლივ 7 000 მათგანს[141] შეეხება.[142] პირს, რომელზეც არ ვრცელდება ამნისტირებული მუხლები და, 2024 წლის 1-ლი ივლისის მდგომარეობით, პირობით მსჯავრდებულია (გარდა ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა) ან პირობით ვადამდეა გათავისუფლებული (გარდა ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა), პირობითი მსჯავრი და გამოსაცდელი ვადა 1 წლით შეუმცირდება.

ამნისტია, თავისი არსით, სახელმწიფოს მხრიდან ჰუმანური აქტია. მისი დანიშნულებაა საზოგადოების გაერთიანება ცალკეულ დანაშაულებში მსჯავრდებული პირების გათავისუფლების გზით. ბუნებრივია, მისი გამოცემა ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი, თუმცა, ის არ უნდა გამოიყენებოდეს, როგორც ამომრჩეველზე ზეგავლენის მოხდენის მექანიზმი. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე ამნისტია დროში უსწრებს 2024 წლის საერთო საპარლამენტო არჩევნებს. კანონის საბოლოო სახით მიღება სექტემბრის თვეში, არჩევნებამდე 1 თვით ადრე, კონტექსტის გათვალისწინებით, ზრდის მმართველი პარტიის მხრიდან ამნისტიით გათავისუფლებულ მსჯავრდებულებზე სხვადასხვა ფორმით ზეგავლენის რისკს, რათა მათგან და მათთან დაახლოებული პირებისგან პოლიტიკური სარგებელი მიიღონ. ეს კი, საბოლოო ჯამში, არჩევნებზე მმართველი პარტიისთვის ხმების მობილიზაციაში გამოიხატება.

---

[136] „კანონპროექტი „ამნისტიის შესახებ", საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 10 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/28908, განახლებულია: 21.08.24.

[137] საქართველოს პარლამენტმა „ამნისტიის შესახებ კანონპროექტი მესამე მოსმენით 2024 წლის 17 სექტემბერს მიიღო. ეს ფაქტი სცდება საანგარიშო პერიოდს, ამიტომ ამ საკითხთან დაკავშირებით დოკუმენტში მოცემული მიმოხილვა 27 აგვისტომდე დროის მონაკვეთით შემოიფარგლება.

[138] „პარლამენტმა „ამნისტიის შესახებ" კანონპროექტი პირველი მოსმენით მიიღო", საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 19 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/parlamentma-amnistiis-shesakheb-kanonproeqti-pirveli-mosmenit-miigho-2/, განახლებულია: 21.08.24.

[139] იქვე.

[140] იქვე.

[141] პირობითი მსჯავრისგან გათავისუფლდება ის პირი, რომელმაც იზოლაციის ან/და კარანტინის წესი, ასევე, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმი დაარღვია.

[142] „პარლამენტმა „ამნისტიის შესახებ" კანონპროექტი პირველი მოსმენით მიიღო", საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 19 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/parlamentma-amnistiis-shesakheb-kanonproeqti-pirveli-mosmenit-miigho-2/, განახლებულია: 21.08.24.

7. პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევა ან/და ამომრჩევლის შესაძლო დაშინება

გავრცელებული ინფორმაციით, 2024 წლის 10 აგვისტოს საქართველოს ვეტერანების საქმეთა სამსახურის დირექტორი კობა კობალაძე ქუთაისში ადგილობრივ ვეტერანებს შეხვდა. ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური არის თავდაცვის სამინისტროს საქვეუწყებო საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ომის ვეტერანების დასახმარებლად სხვადასხვა სახის სოციალურ პროექტებს ახორციელებს.[143] როგორც საიას სადამკვირვებლო მისიისთვის გახდა ცნობილი, შეხვედრის დაწყებისას კობალაძემ შეკრებილ 50-მდე ვეტერანს განუცხადა, რომ არჩევნები ახლოვდებოდა და „მათ იცოდნენ, რა არჩევანიც უნდა გაკეთებინათ“ (ვისთვის უნდა მიეცათ ხმა).

კობა კობალაძე, როგორც ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელი, საჯარო მოსამსახურის ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების მიხედვით, ვალდებულია, თავისი საქმიანობა პოლიტიკური პარტიის კუთვნილებისა და პირადი პოლიტიკური შეხედულებებისგან დამოუკიდებლად წარმართოს.[144] მან სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას თავი უნდა შეიკავოს ისეთი ქმედებისგან, რომელიც შეიძლება აღქმული იყოს კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ინტერესების გატარებად.[145]

მსგავსი შემთხვევები, საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული ცუდი პრაქტიკის ნაწილია.

კობა კობალაძის მიმართვას შეხვედრაზე დამსწრე ერთ-ერთი ვეტერანის[146] აღშფოთება მოჰყვა. მისი თქმით, შეხვედრაზევე განაცხადა, რომ პოლიტიკასთან არანაირი კავშირი არ აქვს, „არც არაფერი ვეტერანებისთვის არ გაკეთებულა“ და არ სურდა ამ შეხვედრაში მონაწილეობის გაგრძელება. მან შეხვედრა „უმისამართო, უწმაწური სიტყვებით” დატოვა. როგორც საიასთან საუბარში ვეტერანი აღნიშნავს, ქუთაისის შეხვედრიდან მეორე დღეს სოციალურ ქსელში კობა კობალაძის მუქარის შემცველი შეტყობინება მიიღო.[147] იგი მოითხოვდა პასუხს, რატომ დატოვა მან შეხვედრა და რატომ განაცხადა, რომ სამსახურს მისთვის არაფერი გაუკეთებია. ასევე, დაემუქრა, რომ „ფეხებს დაუხვრეტდა”. აღსანიშნავია, რომ პირმა სოციალურ ქსელში მონაწერი იმ დღესვე წაშალა. ვეტერანის თქმით, მას

---

[143] ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური არის თავდაცვის სამინისტროს საქვეუწყებო საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც 2014 წელს შეიქმნა. მისი მიზანია, მათ შორის, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების [...] სათანადო ცხოვრების პირობებისა და კეთილდღეობისთვის მყარი სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლის უზრუნველყოფა, ასევე, მათი სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობისთვის ღირსეული პირობების შექმნა; ეს სამსახური ახორციელებს სხვადასხვა სახის სოციალურ თუ ინფრასტრუქტურულ პროექტს ომის ვეტერანებისთვის ზემოთ აღნიშნული მიზნების მისაღწევად. აშკარაა, რომ ამ სამსახურის გავლით ბენეფიციარები იღებენ (ან უნდა მიიღონ) გარკვეული სერვისებს, რაც მათ სამსახურზე დამოკიდებულს ხდის. იხ. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დებულება, მუხლი 2; სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://veterans.gov.ge/category/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/, განახლებულია: 10.09.2024.

[144] საქართველოს მთავრობის №200 დადგენილება საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

[145] იქვე, მე-3 მუხლი.

[146] ინციდენტში მონაწილე პირი არის 2008 წლის ომის, ასევე ავღანეთისა და ერაყის სამხედრო მისიების მონაწილე, ვეტერანი, რომელიც 23 წლის განმავლობაში მსახურობდა თავდაცვის სამინისტროში.

[147] საიას სადამკვირვებლო მისიისთვის ეს შეტყობინებები ხელმისაწვდომი არ ყოფილა.

მომდევნო დღეებშიც აკითხავდნენ სახლში, ურეკავდნენ ტელეფონზე და შეხვედრას სთხოვდნენ.[148]

2024 წლის 13 აგვისტოს ტელეკომპანია „მთავარის" ეთერში გასული სიუჟეტის საპასუხოდ,[149] ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა საჯარო განცხადება, რომელშიც განმარტებულია, რომ კობა კობალაძე 10 აგვისტოს საერთოდ არ იმყოფებოდა ქუთაისში შეხვედრაზე. შესაბამისად, უწყება აბსოლუტურად უარყოფს არა თუ დაშინებისა და ზეწოლის, არამედ შეხვედრის ფაქტსაც.[150]

კობა კობალაძის მხრიდან ვეტერანებისადმი ასეთი ტიპის პოლიტიკური მოწოდება, ამ სამსახურის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს თანამდებობის პირის მიერ ამომრჩევლის ნების მანიპულირებად.

საიას შეფასებით, ეს შემთხვევა შეიძლება განხილული იყოს, როგორც საჯარო მოსამსახურის (თანამდებობის პირის) მიერ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევა. ასევე, საქმეში იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, რითაც შესაბამისი უწყებები უნდა დაინტერესდნენ და, ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, სათანადო რეაგირება მოახდინონ.

[148] „ვეტერანი სამხედროს თქმით, კობა კობალაძე ლიკვიდაციით დაემუქრა", ტელეკომპანია „მთავარის" ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 13 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/TvMtavari/videos/1569480963924774, განახლებულია: 06.09.2024.

[149] იქვე.

[150] „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური, ტელეკომპანია „მთავარი არხის" ეთერში გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს", ვეტერანების საქმეთა სამსახურის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 13 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/veteranebi/posts/pfbid0PDmoWuuaQEYKczk7cvb1GTWszr9Wmaoneutr5GjYLofb8TCgNMXTmwPPUaRnmxwyl, განახლებულია: 6.09.2024.

8. მონიტორინგის პროცესში საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა

საიამ გრძელვადიანი საარჩევნო მონიტორინგის მიზნებისთვის 2024 წლის 4 აპრილიდან 26 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში 138-ჯერ მიმართა სხვადასხვა საჯარო უწყებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის მოწოდების მოთხოვნით. 39 შემთხვევაში საჯარო უწყებებს არანაირი პასუხი არ გაუციათ. მათ შორის, საჯარო ინფორმაცია არ მოუწოდებია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს - 1 შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოებს კი - 14 შემთხვევაში. ასევე, წერილს პასუხი არ გასცა 24 მუნიციპალიტეტის მერიამ.



მიღებული პასუხების ზოგადი ანალიზის შედეგად, საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კუთხით რამდენიმე ტენდენცია გამოიკვეთა:

- შემთხვევები, როდესაც საჯარო უწყებებს არანაირი პასუხი არ გაუციათ;
- უწყებები ვადის დაცვით აგზავნიან საპასუხო წერილს, რომელშიც 10-დღიანი ვადის გამოყენების საჭიროებაზე მიუთითებენ, თუმცა ამ ვადის გასვლის შემდეგ ორგანიზაციას მოთხოვნილ ინფორმაციას არ აწვდიან;
- პასუხები არ არის სრულყოფილი და ვერ იძლევა დასმულ კითხვაზე ამომწურავ ინფორმაციას;
- ზოგიერთი ორგანო, მათ შორის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია საპასუხო წერილში აღნიშნავდა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია გამოქვეყნებულია საკანონმდებლო მაცნესა ან სხვა ოფიციალურ ვებგვერდზე, ამასთანავე, ხშირ შემთხვევაში, არ იყო მითითებული სათანადო ბმული, რაც, არსებითად, საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევაა, მით უფრო მაშინ, როდესაც წერილით მოთხოვნილი და ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია ფორმითა და შინაარსით ერთმანეთისგან განსხვავებულია. საბოლოო ჯამში, ამგვარი მიდგომა ზღუდავს დამკვირვებელი ორგანიზაციის მიერ საჯარო ინფორმაციის მიღების უფლებას და ხელს უშლის გრძელვადიანი მონიტორინგის სრულყოფილად განხორციელებას.

საია მოუწოდებს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის დროული და სრულყოფილი მიწოდება საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის, რათა მათ ჯეროვნად განახორციელონ საარჩევნო გარემოს მონიტორინგი.